საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1519 2018 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულების – „საქართველო – წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულების – „საქართველო – წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყოს კონსულტაციები ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული ფინანსური ხელშეკრულების ფარგლებში ჩამორიცხული სესხის თანხის ნაშთის (560,731.69 ევრო) EIB-ისათვის დაბრუნების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**